



**დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
განკარგულება**



განკარგულება:გ-109. 109261192

თარიღი:29/04/2026

**დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის I კვარტლის  
შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 85-ე მუხლის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი, დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიში და გადაწყვიტა:

1. დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიში დანართების შესაბამისად ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სამართალში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 3 თვის ბიუჯეტის შესრულების  
შესახებ ინფორმაცია

დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 3 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებიდან და მერიის მიერ დაფუნდებული ა(ა)იპ-ებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (20%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის და მიღწეული შედეგების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, გრძელდება პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების გათვალისწინება.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 3 თვის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

<b>მუნიციპალიტეტის 2026 წლის 3 თვის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები</b>				
დასახელება	2026 წლის 3 თვის გეგმა		2026 წლის 3 თვის საკასო შესრულება	
	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები
შემოსავლები	<b>7986,9</b>	<b>642,2</b>	<b>6784,5</b>	<b>188,4</b>
გადასახადები	5984,3	0	5382,8	0
გრანტები	1286,6	642,2	453,6	188,4
მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები	642,2	642,2	188,4	188,4
სხვა შემოსავლები	716,0	0	948,1	0

ხარჯები	<b>6312,9</b>	<b>121,2</b>	<b>5344,8</b>	<b>0</b>
შრომის ანაზღაურება	1230,0	0	1141,4	0
საქონელი და მომსახურება	1229,0	3,5	881,5	0
ძირითადი კაპიტალის მომსახურება				
პროცენტი	5,0	0	0	0
სუბსიდიები	<b>2250,2</b>	48,8	2234,7	0
გრანტები	285,0	0	285,0	0
სოციალური უზრუნველყოფა	771,6	68,9	642,2	0
სხვა ხარჯები	542,1		160,0	
საოპერაციო საღდო	<b>1674,0</b>	<b>521,0</b>	<b>1439,7</b>	<b>188,4</b>
არაფინანსური აქტივების ცვლილება	<b>3312,1</b>	<b>2942,7</b>	<b>1007,6</b>	<b>754,7</b>
ზრდა	3312,1	2942,7	1109,7	754,7
კლება	0	0	102,1	0
მთლიანი საღდო	<b>-1638,1</b>	<b>- 2421,7</b>	<b>1007,6</b>	<b>-566,3</b>
ფინანსური აქტივების ცვლილება	<b>1665,9</b>	<b>2421,7</b>	<b>1007,6</b>	<b>566,3</b>
ზრდა	0		-1007,6	
კლება	1665,9	2421,7		566,3
ვალდებულებების ცვლილება	<b>- 27,8</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>
ზრდა				
საგარეო				
საშინაო				
კლება	27,8	0		0

საგარეო				
საშინაო	27,8	0	0	0
ბალანსი	(0.00)	0 -	0.00	(0.00)

შენიშვნა: ბალანსში გათვალისწინებულია ბიუჯეტის ანგარიშებზე მობრუნებული თანხები

2026 წლის 1-ლი აპრილის მდგომარეობით ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 4 032 651 ლარი, მათ შორის საკუთარი შემოსავლების ნაშთი 3 281 545 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მიღებული გრანტები 751 106 ლარი.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)

დასახელება	2026 წლის 3 თვის გეგმა	საკასო შესრულება 3 თვის	შესრულება %-ში
შემოსულობები	11 712,1	10 611,8	90,6
შემოსავლები	7986,9	6784,5	84,9
არაფინანსური აქტივების კლება	0	102,1	
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	3725,2	3725,2	100
ვალდებულებების ზრდა			
გადასახდელები	9652,8	6454,5	66,9
ხარჯები	6312,9	5344,8	84,7
არაფინანსური აქტივების ზრდა	3312,1	1109,7	33,5
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)			
ვალდებულებების კლება	27,8	0	0
ნაშთის ცვლილება			


ნაშთის ცვლილება

დასახელება	სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	2026 წლის 3 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები

ნაშთი წლის დასაწყისში	3 725 186	2 393 653	1 331 533
შემოსულობები	6 886 622	6 433 056	453 566
შემოსავლები	6 784 508	6 330 942	453 566
არაფინანსური აქტივების კლება	102 114	102 114	0,000
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	124 582	124 582	0,000
ვალდებულებების ზრდა	0,000	0,000	0,000
გადასახდელები	6 454 575	5 420 582	1 033 993
ხარჯები	5 344 848	5 065 595	279 253
არაფინანსური აქტივების ზრდა	1 109 727	354 987	754 740
ვალდებულებების კლება	0	0	0
ნაშთი წლის ბოლოს	4 032 651	3 281 545	751 106
ბალანსი	0	0	0

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2026 წლის 3 თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ


მუნიციპალიტეტის 2026 წლის 3 თვის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 11 712 1 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10 611,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 90,6%.



#### I შემოსავლები

მუნიციპალიტეტის 2026 წლის 3 თვის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლები დაგეგმილი იყო (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 7986,9 ათასი ლარი, ფაქტიურად 6 784,5 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 84,9% -ია.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 126,4 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2025 წლის 3 თვის ფაქტი 32,3 ათასი ლარი) შედარებით ქონების გადასახადი მეტია შემოსული 94,1 ათასი ლარის ოდენობით,მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 77, 9 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 0,1 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან 48,4 ათასი ლარი.




დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 5256,4 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2025 წლის 3 თვის ფაქტი 4494,7 ათასი ლარი) შედარებით 761,7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული<sup>1</sup>.

**II** გრანტები საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 453,6 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 265,2 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური, სპეციალური ტრანსფერი) – 188,4 ათასი ლარი.

**III** **III** სხვა შემოსავლები საანგარიშო პერიოდში განსაზღვრული იყო 716,0 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ 948,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 132,4%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2025 წლის 3 თვის ფაქტი –622,3 ათასი ლარი) შედარებით 93,7 ათასი ლარით მეტია მიღებული, აღნიშნული მეტობა გამოწვეულია მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადის ზრდის შედეგად, პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 88,0 ათასი ლარი,

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 31,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (21,0 ათასი ლარი) 150%-ია. მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 6,2 ათასი ლარი,




დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 18,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 15,0 ათასი ლარი) 122,7 %-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (7,5 ათასი ლარი) შედარებით 10,9 ათასი ლარით მეტია მიღებული.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 65,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (40,0 ათასი ლარი) 164%-ია და 2025 წლის 3 თვის ანალოგიურ მაჩვენებელთან (26,2 ათასი ლარი) შედარებით 39,4 ათასი ლარით მეტია მიღებული.



ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 10,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (5,0 ათასი ლარი) 210%-ია. მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან 10,5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 102,1 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან 102,1 ათასი ლარი.



**ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2026 წლის 3 თვის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ**

2026 წლის 3 თვის გადასახდელების შესრულების 66,9 %-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, (გეგმა 9652,8 ათასი ლარი, ფაქტი 6454,6 ათასი ლარი) რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის (44,9%) ტოლია, ხოლო თანხობრივად (2025 წლის 3 თვესთან შედარებით) დახარჯულია 876,5 ათასი ლარით მეტი, აღნიშნული მეტობა დაფიქსირებულია ძირითადად შრომის ანაზღაურების მუხლში თანამდებობრივი სარგოების ზრდის შედეგად.



#### 2026 წლის 3 თვის ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 9652,8 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 6454,6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 66,9%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 6312,9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 5344,8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 84,7%-ია და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 82,8%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3312,1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 1109,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის 33,5%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 17,2 %-ია. აღნიშნული დაბალი პროცენტის შესრულება ძირითადად მიღებულია ინფრასტრუქტურული პროექტების შეუსრულებლობის შედეგად.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 27,8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 0 ათასი ლარი,

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1230,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1141,4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92,8%-ს შეადგენს,

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 1229,0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 881,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 71,7%-ს შეადგენს,

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 5,0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი 0 პროცენტი შეადგინა.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2250,2 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2234,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,3%-ს,

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 530,5 ათასი ლარის ოდენობით

➤ დასუფთავების ღონისძიებები - 593,1 ათასი ლარი;

სპორტი და სპორტული ღონისძიებები - 237,8 ათასი ლარი.

კულტურის სფეროს განვითარება და კულტურული ღონისძიებები-496,0 ათასი ლარი.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 285,0 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 285,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია,

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 771,6 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 642,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 83,2%-ს,

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

➤ სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების ღონისძიებები და სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები 689,2 ათასი ლარი;

➤ სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება - 169,1 ათასი ლარი

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 542,1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 160,0 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 29,5%-ია, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო 4,9%-ია.


დასახელება	2026 წლის 3 თვის გადასახდელების შესრულება		
	გეგმა	საკასო შესრულება	პროცენტი
ხარჯები	6312,9	5344,8	84,7
შრომის ანაზღაურება	1230,0	1141,4	92,8

საქონელი და მომსახურება	1229,0	881,6	71,7
პროცენტები	5,0	,0	0
სუბსიდიები	2250,2	2234,7	99,3
სოციალური უზრუნველყოფა	771,6	642,3	83,2
გრანტი	285,0	285,0	100
სხვა ხარჯები	542,1	160,0	29,5
არაფინანსური აქტივების ზრდა	3312,1	1109,7	33,5
ვალდებულებები	27,8	0	0
<b>სულ გადასახდელები</b>	<b>9652,8</b>	<b>6454,5</b>	<b>66,9</b>

ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში

<b>დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 3 თვის ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა ფუნქციონალურ კრილში (ათას ლარებში)</b>		
<b>დასახელება</b>	<b>2026 წლის 3 თვის ფუნქციონალური</b>	
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1727,3	26,8
თავდაცვა	0	0
საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	0	0
ეკონომიკური საქმიანობა	762,7	11,8
გარემოს დაცვა	593,1	9,2
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	693,2	10,7

ჯანმრთელობის დაცვა	40,6	0,6
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	980,6	15,2
განათლება	798,8	12,4
სოციალური დაცვა	858,3	13,3
სულ ხარჯები (ვალის დაფარვის გამოკლებით)	6454,6	100



ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის 2026 წლის 3 თვის ბიუჯეტის შესრულება:

■ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 1727,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (2145,7 ათასი ლარი) 80,5%,

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 1668,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (1945,7 ათასი ლარი) 85,7%-ია;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 59,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 200,0 ათასი ლარი) 29,6%-ია.

■ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 1913,6 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 762,7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 39,8%,

■ გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 595,7 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 593,1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,6%, მათ შორის:

✓ ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურების ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 593,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (595,7 ათასი ლარი) 99,6%-ია;

■ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 8737,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 7955,3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91,1%, ხოლო სულ ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 24,1%. მათ შორის:

✓ ბინათმშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 86,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (743,6 ათასი ლარი) 11,6%-ს შეადგენს;

✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 250,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (250,0 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

✓ გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 204,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 220,0 ათასი ლარის 93%-ს შეადგენს.

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 152,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (722,5 ათასი ლარი) 21%-ს შეადგენს.

■ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 48,8 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 40,6 ათასი ლარი, ანუ 83,2%,

■ დასვენების, კულტურის, სპორტის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 1041,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 980,6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94,2%,

მათ შორის:

✓ მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 237,8 ათასი ლარი ანუ გეგმის 246,2 ათასი ლარის 96,6 %

✓ მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 496,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (535,1 ათასი ლარი) 92,7%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 246,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (260,0 ათასი ლარი) 94,9%-ს შეადგენს.

■ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 984,4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 798,8 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 81,1%, მათ შორის:

✓ სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 530,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (531,0 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

✓ საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსებამ შეადგინა 52,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (54,7 ათასი ლარი) 95,2%-ს შეადგენს;

✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების-საჯარო სკოლების დაფინანსებამ შეადგინა 212,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (393,7 ათასი ლარი) 53,8%-ს შეადგენს;

■ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 1012,2 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 858,3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 84,8%, მათ შორის:

✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 169,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (250,0 ათასი ლარი) 67,6 %-ს შეადგენს;

✓ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური, ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 350,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (350,0 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

✓ მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 79,7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 80,0 ათასი ლარის 99,6%

✓ ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 136,7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (182,0 ათასი ლარი) 75,1%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 122,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (150,2 ათასი ლარი) 81,8%-ს შეადგენს.

### სარეზერვო ფონდი

საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 70100 ლარიდან გადარიცხულია 70100 ლარი. მათ შორის: მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად 20500 ლარი, მოქალაქეთა ფინანსური დახმარებისათვის სხვსდასხვა მიზნებისათვის 4000-ლარი, უბედური შემთხვევის შედეგად (ხანძარი, მიწისძვრა, ქარის და სხვა) დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების და დამწვარი თივის ზვინების და სხვა ხარჯები 37700 ლარი, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარებისათვის საცხოვრებელი ბინის ფართის დაქირავებისათვის 2400 ლარი, სწავლის საფასურის გადასახდელი 5500 ლარი

2026 წლის 3 თვის ბიუჯეტით განსაზღვრული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესახებ		
ორგანიზაციული კოდი	დასახელება	გადახდა
020102	ერთჯერადი დახმარება ფულადი ფორმით	45000
00	ჯამი	45000
2.7.2.1	სოციალური დახმარება	45000
06 02 07	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	25100
00	ჯამი	25100
28.2.1.18	სოციალური დაცვა	25100

2026 წლის 3 თვეში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გამოყოფილი იქნა 0 ათასი ლარი, საიდანაც ფაქტიურად გაცემულია ,0 ათასი ლარი.

სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 0 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (0 ათასი ლარი) 0%-ია. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 0 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 0 ათასი ლარი.

აღნიშნული წარმოადგენს სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდთან მუნიციპალიტეტში ნაგვის გადაზიდვისთვის განკუთვნილი მანქანებისთვის 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაფარვას.

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები								
N	კრედიტორის დასახელება	სულ სესხის ოდენობა 01.01.2025 წლის მდგომარეო ბით	2025წე ლს დაფარუ ლი სესხი	სულ დარჩენილ ი დავალიანე ბა 01.01.2026წ ლის თვის	მ.შ 2026 წელს გადასახდ ელი სესხის თანხა	სესხის აღების მიზანი	სესხ ის %	სესხის დაფარვის საბოლოო თარიღი
1	მუნიციპალური განვითარების ფონდი	93,4	65,6	27,8	27,8	ნაგვის მანქანე ბის შესყიდ ვა	5,0	2026 წლის 28.04.

საანგარიშო პერიოდში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული და გადარიცხული გრანტები პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით

ორგანიზაც. კოდი	დასახელება	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 3 თვის ხარჯი	სხვაობა	შესრულება %

	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან გამოყოფილი გრანტები [1]				
0200	ჯამური	2481,3	754,7	1726,6	30,4
020102	გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია	1643,4	565,9	1077,5	34,4
020303	კაპიტალური დაზანდებები გარე განათებაში	0	0	0	0
020202	სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია	0	0	0	0
020401	ბალანსზე რიცხული შენობების რეაბილიტაცია	378,6	97,4	281,2	25,7
020402	ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია	0	0	0	
020501	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	201,8	91,4	110,4	45,3
0206	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.	257,5	0	257,5	0

**მუნიციპალიტეტის 2026 წლის 3 თვეში ბიუჯეტიდან დაფინანსებული პრიორიტეტები:**

- ❖ ინფრასტრუქტურა - 1455,8 ათასი ლარით, რაც გეგმის (3824,7 ათასი ლარი) 38%-ია;
- ❖ განათლება- 798,8 ათასი ლარით, რაც გეგმის (984,4 ათასი ლარი) 81,1%-ია;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი 980,6 ათასი ლარი რაც გეგმის (1041,3 ათასი ლარი) 94,2%-ია;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 898,9 ათასი ლარით, რაც გეგმის (1061,0 ათასი ლარი) 84,7%-ია;
- ❖ წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოები - 1727,3ათასი ლარით, რაც გეგმის (2145,7 ათასი ლარი) 80,5 %-ია.
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა - 593,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (595,7 ათასი ლარი) 100%-ია.

**ინფრასტრუქტურის განვითარება ( ორგანიზაციული კოდი 02 00)**

კოდი	პრიორიტეტების დასახელება	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტი	შესრულების პროცენტი
02 01	გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია	1913,6	762,7	39,9
02 02	სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია	250,0	250,0	100
02 03	გარე განათების ღონისძიებები	220,0	204,6	93
02 04	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების რეაბილიტაცია	743,6	86,3	11,6
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	249,8	95,8	38,4
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამების ღონისძიებები	257,5	0	0

02 07	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	190,2	56,4	29,7
-------	--	-------	------	------

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (02 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის (02 01 კოდი) 2026 წლის 3 თვეში დაფინანსებამ შეადგინა 762,7 ათასი ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით და ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრებით).

2026 წლის 3 თვის განმავლობაში დამანისის მუნიციპალიტეტში დაიგო გზები, აღნიშნული პროექტების ფარგლებში მოეწყო სანიაღვრე არხები, საერთო ჯამში მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებმა და ვიზიტორებმა მიიღო აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელი.

1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით-თანადაფინანსების გათვალისწინებით განხორციელდა ისეთი პროექტები, როგორცაა:

- ქ.დმანისში 9 აპრილის ქუჩის რეაბილიტაცია -0 ლარი.
- ქ.დმანისში ხერგიანის ქუჩის რეაბილიტაციაზე-0 ლარი.
- ქ.დმანისში ნანა დედოფლის ქუჩის რეაბილიტაციაზე 69491 ლარი.+
- ქ.დმანისში გოგებაშვილის ქუჩის რეაბილიტაციაზე -90746 ლარი.+
- სოფელ პანტიანში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია(II-ეტაპი) 262320 ლარი.+
- სოფ.ირგანჩაის გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა,სოფ.ბაზაქლოში,ოროზმანში და ლოქქანდარში ხიდების რეაბილიტაცია 176728 ლარი.+

ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაგეგმილია და დაფინანსებულია:

- სოფ.გომარეთის შიდა გზების რეაბილიტაცია 163434 ლარი.+

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება		
პროგრამის გამახორციელებელი	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარის ფართობი დღეის მდგომარეობით შედგენს. საგზაო სტანდარტებს აკმაყოფილებს მხოლოდ 50 პროცენტი, მუნიციპალიტეტი გეგმავს მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში გზების მთლიანი მოცულობის 20 პროცენტის მშენებლობა რეაბილიტაციას. ასევე ყურადღება ექცევა რეაბილიტირებული გზების მოვლას, რაც გულისხმობს ორმულ მეკეთებებს, ზამთარში მარილის მოყრას, ასევე გზების დახაზვა, შუენიშნების მონტაჟი და სიჩქარის შემზღუდველი ზარიერების მოწყობა			
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	პროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება, შექმნილია	მიღწეული შედეგი	ინფრასტრუქტურა გამართულად ფუნქციონირებს, ტრანსპორტი და მოსახლეობა შეუფერხებლად გადაადგილება, შექმნილია თანამედროვე სტანდარტების	

		თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა		შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა, განხორციელდა როგორც საპროექტო სახარჯთაღვრიგხო დოკუმენტაციის შესყიდვა პროექტებზე ასევე 4 მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი	
დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
1	რეაბილიტირებული გზები, სტანდარტების შესაბამისად	40%	40%	20%	20
2	კმაყოფილი მოსახლეობა (ან უკმაყოფილება)	80%	80%	70%	

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	02 01 01	გზების მოვლა შენახვა	
ქვეპროგრამის გამახორციელებელი	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების ხარისხიანი შენარჩუნება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტის გზის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, პროექტის მიზანია განხორციელდეს გზის დაზიანებული საფარის ორმოული შეკეთება, ასევე წლის განმავლობაში დაზიანების შემთხვევაში ოპერატიულად განხორციელდეს გზის სავალი ნაწილის მონიშვნა ნიშანსადავით საღებავით, მიწის ვაკისის მოშინდაკება ავტოგრეიდერით, ზზარების ამოცემა ა/ზ ნარევით, მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებლობიდან გამომდინარე სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების და საგზაო ნიშნების მოწყობა.		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	გზის საფარის მდგომარეობის შენარჩუნება	მიღწეული	საანგარიშო პერიოდში შესრულებები არ დაფიქსირდა. მიმდინარეობს დაზიანებული ასფალტის ორმოული შეკეთებები.

					შედეგი	
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	მოსავლელი გზის საფარის პროექტის რაოდენობა	20	5	3	40	მიმდინარეობს ცდომილების მაჩვენებელში მითითებული გრძივი მეტრების ათვისება.
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)			02 01 02	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია		
ქვეპროგრამის გამახორციელებელი			სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური.			
პროგრამის აღწერა და მიზანი			ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების ხარისხიანი შენარჩუნება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტის გზის საფარი დღეის მდგომარეობით საგრძნობლად არის დაზიანებული, პროექტის მიზანია განხორციელდეს კაპიტალური შეკეთება სოფლის მისასვლელი და შიდა გზების საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში და ნაწილობრივ საკუთარი სახსრებით 5 პროექტის ,რაც ჯამში ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 762,7 ათასი ლარი .			
დაგეგმილი შუალედური შედეგი			გზის საფარის მდგომარეობის შენარჩუნება	მიღწეული შედეგი	მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება.	
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
№	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	მოსავლელი გზის საფარის პროექტის რაოდენობა	20	5	3	40	მიმდინარეობს ცდომილების მაჩვენებელში მითითებული გრძივი მეტრების ათვისება.

1.2. სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის (0202) 2026 წლის 3 თვეში ფაქტიურად დახარჯულია 250,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლების სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია და ახალი წყალმომარაგების სისტემით უზრუნველყოფა;

2026 წლის 3 თვეში დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარე სამუშაოების დასრულების შემდეგ ბენეფიციარები მიიღებენ აღნიშნული პროექტებით განხორციელებულ სარგებელს:

-დაწყებულია დმანისის მუნიციპალიტეტის 19 სოფელში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და საანგარიშო პერიოდში გრანტის სახით დაფინანსებულია 250 000 ლარი.

-სოფელ ქვემო კარაბულახში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია 2,5% გაჩერებულია.12243 ლარი

02 02 01	პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქალაქ დმანისსა და 5 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ 12 სოფელს ემსახურება შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, რომელიც ახორციელებს სასმელი წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდას, სასმელი წყლის რეზერვუარების გაწმენდასა და სპეციალური ხსნარით დაქლორვას, ასევე დაზიანებული ხაზების აღდგენას.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დანარჩენ 10 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლების ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში წყლის სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მოწოდებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე მოაგარაკებისა და ტურისტებისათვის უწყვეტ რეჟიმში სასმელი წყლით მომარაგებას. აღნიშნულ წყლის სისტემებს, მათ შორის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ ჭაბურღილებს ემსახურება ააიპ დმანისის „სერვის ჯგუფი“, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დაზიანებული წყლის სისტემების აღდგენა და მოვლა- შენახვა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა, სასმელი წყლის ბასეინების გაწმენდა- დაქლორვა.</li> </ul> <p>ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები, რომელიც გაიცემა ააიპ დმანისის „სერვის ჯგუფი“-ს სუბსიდირებიდან.</p>	
საბოლოო შედეგი	<p>ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, წყლის სისტემების გაუმართაობის დროული აღმოფხვრა და უწყვეტ რეჟიმში ექსპლუატაციის უზრუნველყოფა.</p>	

**ბ.ბ) სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაცია**

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	წყლის სისტემების მშენებლობა	პროგრამის განმახორციელებელი
02 02 02			სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში სოფლების წყალმომარაგების და წყლის სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით მოხდება წყალსადენის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია. საჭიროებისამებრ ძველი, ამორტიზირებული სისტემების აღდგენა და ახლის მშენებლობა.</p> <p>სოფელ ქვ.კარაბულახში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია -12243 ლარი.</p> <p>დმანისის მუნიციპალიტეტის ქ.დმანისში და 19 სოფლის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის და სათავე ნაგებობების მშენებლობისათვის 15%-იანი თანადაფინანსების სახით გამოყოფილი 250,0 ათასი ლარი.(გრანტი)</p>		

<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	მუნიციპალიტეტში მდგრადი სასმელი წყლის სისტემის შექმნა და შეუფერხებელი მიწოდება
---------------------------	--

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	4	1	1	0	

**1.3 კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში.**

გ) მერიის ადმინისტრაციული შენობის განათების მოწყობა

კოდი	პროგრამის დასახელება	გარე განათება
------	----------------------	---------------

02 03		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართულ გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო პროექტები. დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქალაქ დმანისში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტებში). გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 70%. გარე განათების ქსელი მოიცავს 3441 ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 3441-ზე მეტ საწათ წერტილს, 30514 გრძივ მეტრზე სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 19,4 ათას ლარი ყოველკვარტალურად) ხმარდება მოხმარებული ელექტრენერჯის ანაზღაურებას. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურის ხასიათის, ასევე მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება- გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაციას ( მათ შორის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას). პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან, ესენია: გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია, კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში. ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლუატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში- მრავალწლიანი. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან და კაპიტალური დანახარჯებიდან. გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას;</li> <li>- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას;</li> <li>- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.</li> </ul>	
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება.</p>	

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა				0	

გ.ა) გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (მოვლა-შენახვა)
02 03 01		

<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	ა(ა) იმ დმანისის „სერვის ჯგუფი“
<b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b>	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 4070 სანათი წერტილის გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენებისადგენა, შეკეთებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 7 საშტატო ერთეულის ხელფასები.
<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	გარე და დეკორატიული განათების სისტემაში პერიოდულად შექმნილი შეფერხების დროული აღმოფხვრა განათების სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის.

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტის რაოდენობა				0	

**გ.ბ) გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი**

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი	ელექტრო ენერჯის ხარჯი
02 03 02			192,4 ათასი ლარი

<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია
<b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b>	ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას.
<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	ქვეპროგრამის მიზანია გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება, სანათების რეაბილიტაციის და კონტროლის ხარჯზე ერთი სანათის მიერ დახარჯული კილოვატ/სანათი ელექტრო ენერჯის შემცირება, რაც შესაბამისად გამოიწვევს ხარჯის შემცირებას.

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
თანხობრივი რაოდენობა (ათას ლარებში)					

**გ.გ) კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში.**

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კაპიტალური დაბანდებები
02 03 03	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	12,2 ათასი ლარი

<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
<b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b>	კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება/ გაუმჯობესების ღონისძიებებს, როგორც არის გარე განათების სისტემების მოწყობა, ახალი სანათი წერტილების დამატება, გარე განათების ახალი თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოწყობა მუნიციპალიტეტის უბნებში და სხვა. ხანგრძლივობის მიხედვით, ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები.
<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი განათების სისტემის შექმნა

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტე ბა
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტის რაოდენობა	9	1	1		

1.4. მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაციისათვის 2026 წლის 3 თვეში ფაქტიურად შესრულებულია 84,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: სოფელ მაშავერაში საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია 64220 ლარი.

ქ.დმანისში 26 მასის ქუჩაზე არსებული სპორტული სკოლის შენობის რეაბილიტაცია 20292 ლარი

**დ) ბინათშენებლობა**

კოდი	პროგრამის დასახელება	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია
02 04		

<b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
<b>პროგრამის აღწერა</b>	პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას, ხოლო ქალაქ დმანისში არსებული მრავალბინიანი კორპუსების სახურავების და ფასადების რეაბილიტაციას; ასევე გათვალისწინებული იქნება ავარიული ობიექტების და შენობის აღდგენა-რეაბილიტაცია, რითაც თავიდან ავიცილებთ მოზინადრეთა უსაფრთხოების ამაღლებას. პროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 30 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აქედან ქალაქ დმანისში არის 23 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აღნიშნული სახლების 95%-ის ფასადები საჭიროებს რემონტს. სახურავის რეაბილიტაცია ჩატარდა ქალაქ დმანისის 22 მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, დარჩენილია მხოლოდ ერთი სარეაბილიტაციო სახურავი. სოფლებში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავები კარგ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს რეაბილიტაციას.

<b>პროგრამის მიზანი</b>	მრავალმიზანიანი სახლების მოზინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა
-------------------------	---

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	9	2	2	0	

**დ.ა) ბალანსზე რიგხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია**

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიგხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია
02 04 01		

86,3 ათასი ლარი

<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
<b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b>	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობების კეთილმოწყობა და კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა. რეაბილიტაცია, სახურავების შეცვლა/შეკეთება, ფასადის რეაბილიტაცია, ცენტრალური გათბობის მოწყობა და სხვა.

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
ბენეფიციართა რაოდენობა	9	2	2	0	

15. საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია(0205) 2026 წლის 3 თვეში ფაქტიურად ათვისებულია 154,9 ათასი ლარის სამუშაოები, ქვემოთ დაფიქსირებული პროექტებიდან,კერძოდ:

- სოფელ კამარლოში მინი სტადიონის მოწყობა-48618 ლარი.
- სოფელ ბაზაქლოში სკვერის რეაბილიტაცია 47200 ლარი.
- სოფ.პატარა დმანისში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის რეაბილიტაცია 59060 ლარი.(მოქალაქეთა ჩართულობიდან მერიის ხარჯებში).

კოდი	პროგრამის დასახელება	კეთილმოწყობის ღონისძიებები საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა -რეაბილიტაცია
02 05		

154,9 ათასი ლარი

<b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
--	--

<b>პროგრამის აღწერა</b>	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების და გართობის ადგილების შექმნის მიზნით. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელების აღდგენა, საფენმაგალო გზებზე დაზიანებული ბორდიურების და ფილების ამოცვლა, ქალაქში ზიდებზე მოაჯირების და ბორდიურების შეღებვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწესრიგება პროგრამით ფინანსდება ქვეპროგრამა სკვერები და მინისპორტული მოედნების მოწყობა. პროგრამა ფინანსდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით.
<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების დაგართობის ადგილების შექმნა, შედეგად კეთილმოწყობილია მუნიციპალიტეტი დამოსახლეობას აქვს დასვენების და გართობის ზონა.

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	8	3	2	33	უამინდობის გამო ვერ მოხერხდა ერთი პროექტის დასრულება.

ე.ა) საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა- რეაბილიტაცია

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია

<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
<b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b>	პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას კერძოდ მიწის სტადიონების, სკვერების და დასასვენებელი პარკების თანამედროვე სტილის ატრაქციონებით უზრუნველყოფას. მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებობს 23 მიწის-სტადიონი, აქედან რეაბილიტირებულია 23 მიწის-სტადიონი. ასევე 21 სკვერი (სოფელ მაშაფერას, სოფელ დიდი დმანისი-ვარდისუბნის, სოფელ განთიადის, სოფელ ჯავახის, ამალოს, ბაზაქლოს, ოროზმანის, დაგარახლოს, სოფელ გომარეთის და ქალაქის 7 სკვერი). ასევე მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან ხორციელდება 2 სკვერის და სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაციის დასრულება.
<b>მოსალოდნელი შედეგი</b>	მოსახლეობის დასვენებისა და ჯანსაღი სხოვრებისათვის საჭირო გარემოს შექმნა

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	8	3	2	33	უამინდობის გამო ვერ მოხერხდა დასრულება ერთი პროექტის გამო

1.6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები:

- სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-0 რეაბილიტაცია სოფელში.
- გარე განათების მოწყობის სამუშაოები-0 სოფელში.
- საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობის სამუშაოები-0 სოფელში.
- გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის და მოხრეშვის სამუშაოები სანიაღვრე არხების მოწყობით 0 სოფელში
- ფარდულის მოწყობა 0 სოფელში.

კოდი	პროგრამის დასახელება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა
02 06		

0

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის, მერისა და მერის წარმომადგენლების ჩართულობით იგეგმება და ხორციელდება სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრები, შემდგომ მათი მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბებული პრიორიტეტების გათვალისწინებით ხორციელდება საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და იგეგმება ინფრასტრუქტურული სამუშაოები; მათ შორის: -გარე განათების მოწყობისა და რეაბილიტაციის პროექტები-4 სოფელში; -სასმელი წყლის სისტემების და წყაროების მოპირკეთების და რეაბილიტაციის სამუშაოები 3 სოფელში; გზის მოხრეშვისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია-გზების მშენებლობა რეაბილიტაცია 9 სოფელში; სოფლის სასაფლაოების შემოღობვა.სკვერების და სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია 17 სოფელში და ფარდულის მოწყობა 9 სოფელში.
პროგრამის მიზანი	სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესება

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	44	0	0	0	

ზ) საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და საექსპერტო მომსახურება.

კოდი	პროგრამის დასახელება	საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა
02 07		

56,4 ათასი ლარი

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში განსაზღვრული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.</p>
პროგრამის მიზანი	ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა			0	

**დასუფთავება და გარემოს დაცვა**

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 595,7ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პრიორიტეტებისა და მათში შემავალი პროგრამების/ღონისძიებების დასახელება	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტი	შესრულ, % გეგმასთან
03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა	595,7	593,1	99,6
03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა	595,7	593,1	99,6
030101 ა(ა)იპ დმანისის მუნიციპალიტეტის „სერვის ჯგუფი“	595,7	593,1	99,6

03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0	0,0	0
03 03	კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში	0	0	0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	0	0	0

კოდი	პროგრამის დასახელება	დასუფთავება და გარემოს დაცვა
03 01		

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის „სერვის ჯგუფი“
პროგრამის აღწერა	<p>დმანისი მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავშიდი მანქანები. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ -დმანისის მუნიციპალიტეტის „სერვის ჯგუფი“ ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ქალაქში და სოფლებში.რომლის გატანაც ხდება ქალაქ ზოლნისში არსებულ სპეციალურ ნაგავსაყრელზე.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - დმანისის მუნიციპალიტეტის „სერვის ჯგუფი“ ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის ხელფასებს.</p>
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში სუფთა და ჯანსაღი გარემოს პირობების არსებობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	დასუფთავება და ნარჩენების გატანა
03 01		

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის „სერვის ჯგუფი“
ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის „სერვის ჯგუფი“ ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომანქანა და ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ დმანისიდან და მუნიციპალიტეტის 43 სოფლიდან. შეგროვებული ნარჩენები გადის ქალაქ ბოლნისის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 650 ერთეულს, მათ შორის 172 განთავსებულია ქ.დმანისში და 478 მუნიციპალიტეტის სოფლებში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 34 მ/კუბ ნარჩენი, ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენის მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 78 000 მ<sup>2</sup> ქუჩებისა და 24 180მ<sup>2</sup> სკვერების დასუფთავება. პროგრამიდან ფინანსდება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება. პროგრამის ფარგლებში ქ.დმანისში, მიმდებარე სოფლებში ხორციელდება ქუჩებისა და ტროტუარების დასუფთავება, მერიის საკუთრებაში ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება. 64 თანამშრომელი</p>
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში სუფთა და ჯანსაღი გარემოს პირობების არსებობა

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა				0	

კოდი	პროგრამის დასახელება	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება
03 02	ა	

<b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	ა(ა)იპ დმანისის „სერვის ჯგუფი“
<b>პროგრამის აღწერა</b>	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა (რაოდენობა) და სკვერების( რაოდენობა) მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, წიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ დმანისის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 2 სამტატო ერთეულის ხელფასის დაფინანსება.
<b>პროგრამის მიზანი</b>	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში და პარკებში მოსახლეობისთვის სასიამოვნო, ჯანსაღი გარემოს შექმნა.

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა				0	

